ბუდაპეშტისა და უნგრეთის მიტროპოლიტმა ილარიონმა უნგრეთის პრემიერ-მინისტრს მოუწოდა, ხელი შეუწყოს ტულჩინისა და ბრაცლავის მიტროპოლიტ იონათანის გათავისუფლებას

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 08.09.2023. *9 აგვისტოს ბუდაპეშტისა და უნგრეთის მიტროპოლიტმა ილარიონმა წერილი გაუგზავნა უნგრეთის პრემიერ მინისტრს ვიქტორ ორბანს, რომელშიც მან მისი ყურადღება მიაპყრო უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქის,* ***ტულჩინისა და ბრაცლავის მიტროპოლიტ იონათანის*** *ხვედრს, რომელსაც უკრაინის სასამართლომ გაყალბებული ბრალდებით 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.*

წერილში, რომელიც უნგრეთის ეპარქიის ვებგვერდმა ***გამოაქვეყნა,*** *ნათქვამია:*

ძვირფასო ბატონო პრემიერ-მინისტრო!

მოგმართავთ თქვენ, როგორც მთავრობის მეთაურს, რომელიც ბევრს აკეთებს არა მხოლოდ უნგრეთში ქრისტიანული სულიერი და მორალური ფასეულობების შესანარჩუნებლად და გასამრავლებლად, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში დევნილ ქრისტიანთა დასახმარებლადაც.

7 აგვისტოს ვინიცის საქალაქო სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა ტულჩინისა და ბრაცლავის მიტროპოლიტ იონათანის (ელეცკიხი) წინააღმდეგ, რომელსაც ბრალად ედება „ქმედებები, რომლებიც მიმართულია კონსტიტუციური წესრიგის ძალადობრივ შეცვლაზე ან დამხობაზე და სახელმწიფო ხელისუფლების ხელში ჩაგდებაზე“, ასევე „უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა“. მიტროპოლიტი იონათანი მრავალწლიანი გამოცდილების მქონე იერარქია. გასული საუკუნის 80-90-იანი წლების მიჯნაზე ის იყო კიევ-პეჩერსკის ლავრის გამგებელი, საკუთარი წვლილი შეიტანა ამ სიწმინდის აღორძინებაში, საიდანაც ახლა უკრაინის ხელისუფლების გადაწყვეტილებით აძევებენ ბერებს. შემდეგ იგი თანმიმდევრულად ხელმძღვანელობდა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის რამდენიმე ეპარქიას, 2014 წლის აგვისტოდან კი ტულჩინისა და ბრაცლავის ეპარქიას.

მეუფე იონათანი არის გამოჩენილი საეკლესიო კომპოზიტორი, რომლის ნაწარმოებებს მრავალი წამყვანი გუნდი ასრულებს.

გთხოვთ, ძვირფასო ბატონო პრემიერ-მინისტრო, ყველაფერი გააკეთოთ იმისთვის, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ ყურადღება მიაპყროს ვინიცის საქალაქო სასამართლოს უპრეცედენტო გადაწყვეტილებას და მივაღწიოთ მსხვილი იერარქის გათავისუფლებას – თუ სხვა მიზეზებით არა, ჰუმანიტარული ხასიათის მიზეზით მაინც. მეუფე 74 წლისაა, მას მძიმე ფორმის შაქრის დიაბეტი აქვს და მისთვის 5 წლით თავისუფლების აღკვეთა სხვა არაფერია, თუ არა სასიკვდილო განაჩენი.

დაე, უფალმა ღმერთმა დაგიფაროთ თქვენ და ღვთისმოყვარე უნგრეთის ქვეყანა!

+ ილარიონი,

წყარო: https://mospat.ru/ge/news/90610/